თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1547945

ნომერი: AR1249955

თარიღი : 11.09.2014

გაცემის თარიღი : 20.10.2014

გაცნობის თარიღი : 20.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), N 47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო აბსანძე პ/ნ 01009014528
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ. კორ. 19 ბ. 15

ორგანიზაცია:

- ფრესკო რითეილ გრუპი კოდი: 404383779

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილი) ქ. N47–ის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველი კლასის ობიექტების (5 ცალი ბეტონის სფერო) განთავსების საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (1. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით N 01.15.05.088.004 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882013203419; 2. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა; 3. ფოტომონტაჟი; 4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2014 წლის 8 ოქტომბრის N20/8-2001091 წერილი და გენგეგმა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს 2014 წლის 3 ოქტომბრის N01/02/135 წერილი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილი) ქ. N47–ის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველი კლასის ობიექტების (5 ცალი ბეტონის სფერო) განთავსების შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge